

სტუდენტური პრეს კლუბი

PRESSCLUBI.GE

სცენა I

დონ ჟუანი და ლეპორელო

დონ ჟუანი

აქ დაველოდოთ შეღამებას. მადრიდის კარებს
მადლობა უფალს მოვალწიეთ. კიდეც ცოტაც და
ნაცნობ ქუჩებში ძველებურად გავინავარდებ.
პირს მოსასხამით მოვიბურავ, შუბლს თავსაბურავით,
შენ როგორ ფიქრობ? ჩემი ცნობა გაუჭირდებათ.

ლეპორელო

რალა თქმა უნდა! დონ ჟუანის ცნობა ძნელია,
ათას კაცში ვერ გამოარჩევ.

დონ ჟუანი

შენ ხუმრობ, მაგრამ
ვინ უნდა მიცნოს, შენი აზრით?

ლეპორელო

ვინ? პირველმავე
ლამის გუშაგმა, მემუსიკემ, თუ გინდა, მთვრალმა,
სულაც, ჩვენმა ძმამ - თავგასულმა კაბალიერომ,
მოსასხამის ქვეშ მხარილლივ რომ ჰკიდია ხმალი.

დონ ჟუანი

რა მენაღვლება, დაე, მიცნონ, ღამეულ გზაზე
ოღონდ ჩვენს პატრონს - თვითონ მეფეს არ შევეფეთო.
თუმცა მადრიდში მე არავის არ მეშინია.

ლეპორელო

კარგად ბრძანეთ! მაგრამ ხვალვე იმის ყურამდე
მიადწევს ხმა, რომ დონ ჟუანი თავისი ნებით,
დაუკითხავად ჩამოვიდა ქალაქსო, - მაშინ,
მითხარით, რა დღე დაგადგებათ, რას გიზამთ მეფე?

დონ ჟუანი

არაფერს. უკან გამაგზავნის და ეს იქნება.
რა უნდა მიყოს უარესი! თავს არ მომკვეთენ,
ეს ცხადია და ჭეშმარიტი. მე ხომ საქვეყნო
დანაშაული არაფერი ჩამიდენია.

ისევ ჩემდამი სიყვარულის გამო პატრონმა
განმიშორა მე, რომ მოკლულის ნათესაობას
და ოჯახს სისხლი არ აეღო. . .

ლ ე პ ო რ ე ლ ო

ჰოდა, ის ჯობდა

განრიდებოდით მესისხლეთა შურისძიებას!

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

მონავ უბირო, აკი ნახე საკუთარ თვალით,
მოწყენისაგან კინალამ რომ ამომხდა სული!
მანც რა მკვდარი ქვეყანაა! ან რა ხალხია?

ცა, - ცა რასა ჰგავს გაკვამლული? ქალები? არ,
ანდალუზიის უკანასკნელ გლეხის გომბიოს -
ჩემო ერთგულო ლეპორელო, შენ ეს იცოდე, -
ყველა იქაურ მზეთუნახავს ვანაცვალეზდი.

ჯერ კი მხიბლადნენ მე ისინი. მისაკუთრებდნენ
კანის სითეთრით და ცისფერი თვალების ნაბვით,
და კიდევ კდემამოსილებით, უფრო კი - გეტყვი -
სიახლით, მაგრამ, მადლობა ღმერთს, მალეღვე მივხვდი,
რომ ცოდვაც კია მათი ხვევნა, - მკვდართან ხარ თითქოს,
თითქოს ცვილისგან გამოძერწილ თოჯინებს ჰკოცნი.

სხვა სიცოცხლე აქვთ ჩვენს დიაცებს!. . მაგრამ მოიცა,
ეს მიდამო და ჭალა რაღაც მეცნაურება.

ჩვენ აქ ვყოფილვართ. . . გაგახსენო? ზაფხულში, ერთხელ. . .

ლ ე პ ო რ ე ლ ო

წმინდა ანტონის მონასტერი! ზაფხულში, დიახ,
აქეთ ინებეთ, კარგად მახსოვს, წამობრძანება.

ცხენები აგერ, იმ ჭალაში გვეყენა, ქვევით.

სამსახური მაქვს უბედური, დროს აქ, - მერწმუნეთ,
თქვენ ატარებდით ჩემზე უკეთ.

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

(დაფიქრებულია)

ჩემი ინეზე!

როგორ მიყვარდა! აღარაა ამ ქვეყნად უკვე.

ლ ე პ ო რ ე ლ ო

ინება! მახსოვს, შავთვალწარბა. . . დიდად მოგწონდათ,
სამი თვე სდიეთ, გასაქანი აღარ მიეცით
და ბოლოს ეშმას შემწეობით დაიყოლიეთ.

დონჟუანი

ივლისში. . . ღამით. რაღაცნაირ მწველ სიტკბოებას
და ნეტარებას მგვრიდა მისი მწუხარე მზერა
და მიწისფერი ტუჩები. - ეს უცნაურია.

არც შენ მიგაჩნდა ის ღამაზად მაინცდამაინც
და მართლაც, მასში ცოტა იყო ამაღლებული
და ჭემმარიტად მშვენიერი; თვალები მხოლოდ,
შავი თვალების გამოხედვა. . . ასეთი მზერა
მეტად არასდროს შემხვედრია, აღარ მინახავს.

ხმაც საოცარი ჰქონდა, ყრუ და სუსტი, ვით სნეულს, -
ქმარი ჰყოლოდა გარეწარი, გულღვარძლიანი,
გვიან შევიტყო. . . ო, საწყალი, საბრალო ქალი!

ლეპორელო

რას იზამ! მერე სხვა გამოჩნდა. . .

დონჟუანი

ვერაფერს ვიტყვი.

ლეპორელო

კარგად ვიყოთ და იმათ კიდევ სხვები მოჰყვება.

დონჟუანი

სწორია ეგეც, რა უნდა ვთქვა. . .

ლეპორელო

მადრიდში ახლა

ვის მივადგებით ამ საღამოს?

დონჟუანი

ვის და ლაურას!

ახლა პირდაპირ იქ მივდივარ.

ლეპორელო

დიდებულაია!

დონჟუანი

უეცრად მინდა თავს წავადგე, მაგრამ თუ სტუმრად
ვინმე ჰყავს, - უჯობს გაისტუმროს თუნდა ფანჯრიდან.

ლეპორელო

კარგია! ხედავ, გულს დარდი გადაგყვრია!

მიცვალებულნი გულს დიდიხნით ვერ გვიშფოთებენ.

აქეთ ვინ მოდის? (შემოდის ბერი)

ბ ე რ ი

ახლა აქეთ მოემურბა

იგი. თქვენ იქნებ მხლებელნი ხართ დონა ანასი?

ლ ე პ ო რ ე ლ ო

არა, მამაო, თავადები გახლავართ თავად

და გულის ნებით აქ ვსეირნობთ.

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

თქვენ ვისლა ელით?

ბ ე რ ი

ახლა აქ მოვა დონა ანა, მოსახილველად

თავის მეუღლის აკლდამისა.

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

ო, დონა ანა

დე-სოლვა? როგორ! კომანდორის თანამეცხედრე?

რომელიც მოჰკლა. . . ვინ, - არ მახსოვს?

ბ ე რ ი

ყოვლად გახრწნილმა,

ურცხვმა, უღმრტო დონ ჟუანმა.

ლ ე პ ო რ ე ლ ო

ნუ დაუჯერებ

თუ გინდ ყურებს! უმყუდროეს მონასტერშიც კი

ისმის სახელი დონ ჟუანის. საკვირველია!

და განდეგილნი უგალობენ ქებათა ქებას.

ბ ე რ ი

იცნობდით იმ კაცს?

ლ ე პ ო რ ე ლ ო

რასა ბრძანებთ! არც კი გვინახავს!

სად არის ახლა, ხომ ვერ გეტყვით?

ბ ე რ ი

გადაასახლეს

შორეულ მხარეს.

ლ ე პ ო რ ე ლ ო

მადლობა ღმერთს! რაც შორს იქნება,

მით უკეთესი! მემრუშეებს სუყველას ერთად

თავს მოგუყრიდი და მორევში გადვუძახებდი.

რას რომავ, ბრიყვო!

ხმა გაკმინდეთ: ყასიდად ვამბობ. . .

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

მაშასადამე, კომანდორი აქ მარხია?

ბ ე რ ი

დიახ. მეუღლემ აღმართა ქვის ქანდაკება
და ყოველდღე აქ მობრძანდება, რომ მისი სულის
მოსახსენებლად მოილოცოს ადგილი ესე
და დაიტიროს.

დ ო ნ ა ა ნ ა

უცნაური ქვირივ ყოფილა!

ლამაზიცაა?

ბ ე რ ი

სილამაზე დედათა ჩვენთვის,
მონაზონთთვის, ამო და ფუჭი სიტყვაა:
მაგრამ სიცრუით ვერ შევცოდავ, არავის ძალუმს
მისი მშენება საოცარი არ აღიარო.

დ ო ნ ა ა ნ ა

მიტომაც იყო ეჭვიანი განსვენებული
და დონა ანა ჩაკეტილში მიტომაც ჰყავდა.
აკი ჩვენთაგანს არასოდეს უხილავს იგი.
ორიოდ სიტყვას ვეტყვოდი მე. . .

ბ ე რ ი

ო, დონა ანა
მამაკაცებთან არ საუბრობს. არც არასოდეს
უსაუბრია.

დ ო ნ ა ა ნ ა

ხოლო თქვენთან, მამაო?

ბ ე რ ი

ჩემთან
სულ სხვა საქმეა. მე არა ვარ სოფლის კაცი.
აგერა ისიც.

(შემოდის დონა ანა)

დ ო ნ ა ა ნ ა

ო, მამაო, გამიღეთ კარი!

ბ ე რ ი

ახლავე, შვილო. მე თქვენს მოსვლას ველოდებოდი.
(დონა ანა თან მიჰყვება ბერს)

ლ ე კ ო რ ე ლ ო

ჰა, როგორია?

ვერაფერი ვერ გავარჩიე

ქვირივ ძაძების და ამ შავი მოსაუბრის ქვეშ,
მხოლოდ პატარა, ბუდეშური ფეხი შევნიშნე.
ეგეცა კმარა, ხვაშიადი რომ ვიცი თქვენი;
დანარჩენს ყოველს წარმოსახვა დაგისურათებთ
გამჭრიახი და მხატვრისაზე უფრო ცხოველი.
ხომ სულერთია თქვენთვის, თხემით დაჰყვებით დაბლა
თუ კოჭებიდან აუყვებით.

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

შენ, ლეპორელო,

ყური დამიგდე, - მე ამ ქალის გაცნობა მინდა.

ლ ე პ ო რ ე ლ ო

რადა თქმა უნდა, გენდომებათ! ქმარი მოუკლა
და ახლა, რა ქნას, მოენატრა ქვირივის ცრემლები.
შეხედავს მარტო. უსინდისო!

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

ამასობაში

შელამდა კიდეც. ვიდრე მთვარე არ ამოსულა
და მწუხრი ნათელ საღამოდ არ გადაქცევია,
შევიდეთ ქალაქს.

ლ ე პ ო რ ე ლ ო

ღამეს ელის და მთვარიანში

სიარულს უფრთხის ესპანელი გრანდი! - ო, ღმერთო,
რა ცხოვრება მაქვს. ან როდემდე უნდა ვეწვალო
ამ დამთხვეულის გადამკიდე! . .

ს ც ე ნ ა II

(ოთახი. ლაურასტონა ვახშამია)

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ მ ა რ ი

თავს გეფიცები, არასოდეს გითამაშნია,
ჩემო ლაურა, - ესოდენი სრულყოფილებით.
რა სწორად გქონდა შენი როლი ამოცნობილი!

მ ე ო რ ე

და მერე როგორ, რა ბრწყინვალედ განავითარე!

მ ე ს ა მ ე

რა საოცარი ხელოვნებით!

ლ ა უ რ ა

გამომდიოდა

დღეს თითქუელი მიხრა-მოხრა რაღაცნაირად.
თავდავიწყებით ვეძლეოდი მე შთაგონებას
და სიტყვა ისე მომდიოდა, თითქოს მას შობდა
არა მონური მახსოვრობა, არამედ გული.

პ ი რ ვ ე ლ ი

თვალეები ახლაც შთაგონებით გიბრწყინავს, სახე
წითლად გიღუის და არ გტოვებს აღფრთოვანება,
ნუ გააცივებ მას ამაოდ! ლაურა, მოდი,
გვიმდერე რამე.

ლ ა უ რ ა

მომაწოდეთ, აბა გიტარა!
(მღერის)

ყ ვ ე ლ ა ნ ი ე რ თ ხ მ ა დ
დიდებულია! ბრწყინალეა! გადასარევი!

პ ი რ ვ ე ლ ი

მადლობას გწირავთ, ჯადოქარო. შენ უცნაური
ხმით გვაჯადოვებ. წუთისოფლის სიამეთაგან
მუსიკა მხოლოდ სიყვარულის წინაშე იხევს,
თუმცა სიყვარულიც მუსიკაა. . . შეხედეთ, თვითონ
შენს პირქუმ სტუმარს, დონ კარლოსსაც შეუძრა გული.

მ ე ო რ ე

რა სიმღერაა! რა გრძნობაა შიგ ჩაქსოვილი!
ლაურა, ლექსი ვის ეკუთვნის?

ლ ა უ რ ა

დონ ჟუანს.

დ ო ნ კ ა რ ლ ო ს ი

ვისო?

ლ ა უ რ ა

დონ ჟუანს. ლექსი დამიწერა ოდესღაც ჩემმა
თავპარიანმა საყვარელმა, სანდო მოყვარემ.

დ ო ნ კ ა რ ლ ო ს ი

გარეწარი და ღვთის პირიდან გავარდნილია
ეგ შენი სანდო მეგობარი.

ლ ა უ რ ა

დაჰკარგა ჭკუა?

მსახურთ ვუხმობ და შენს თავს ახლავე ავაკუწვინებ,

თუმცა ქედმაღალი ესპანელი გრანდი ხარ.

დონ კარლოსი

უხმე!

პირველი

ჩემო ლაურა, გულისწყრომა დაიცხრე, შენ კი

ნუ ფიცხობ, კარლოს, ჩვენს მასპინძელს არ ახსოვს ალბათ. . .

ლაურა

რა? - რომ დონ ჟუანს პატიოსან ორთაბრძოლაში

მაგის ღვიძი ძმა შემოაკვდა? რატომ თვითონ ეგ

არ წარუმძღვარა!

დონ კარლოსი

ვნანობ უკვე ჩემს გულფიცხობას.

ლაურა

აჰა, ხომ ნანობ! უგუნურო! კარგი, შევრიგდეთ,

რაცკი თვითონაც აღიარებ.

დონ კარლოსი

ჰო, მომიტევე.

დამნაშავე ვარ. შენ ხომ იცი, ჩემს უნებურად

სისხლი მემღვრევა ამ სახელის გაგონებაზე.

ლაურა

მაგრამ რა ჩემი ბრალია თუ მე წამდაუწუმ

მაინცდამაინც ეგ სახელი მადგება პირზე?

კარგი, შერიგდით და ნიშნად ამ შერიგებისა,

ლაურა, ერთი სიმღერაც თქვი.

ლაურა

დროც არი უკვე -

შუაღამეა. რა გიმღეროთ გამოსათხოვრად?

ჰო, - მაშ, მისმინეთ. (მღერის)

ყველანი

ბრწყინვალეა! დიდებულია!

ლაურა

აბა, ნახვამდის, ბატონებო.

ლამე მშვიდობის.

(გადიან. ლაურა დონ კარლოსს შეაჩერებს)

ლაურა

შენ დარჩი, შმაგო! დღეს როგორღაც მომინადირე

შენი უგონო საქციელით, სიტყვის უკმეხი

შემობრუნებით და კბილებით ღრჭენით, უეცრად,

დონ ჟუანი რომ მომაგონე.

დონ კარლოსი

ოჰ, ბედნიერი!

მართლა გიყვარდა? თუ . . .

(ლაურა დასტურის ნიშნად თავს უქნევს)

ძალიან?

ლაურა

ძალიან, - მართლა!

დონ კარლოსი

და ახლაც გიყვარს?

ლაურა

ახლა, ამ წუთას? მე სიყვარული

ერთბაშად ორი მამაკაცის არ შემიძლია.

ახლა შენ მსურხარ.

დონ კარლოსი

ო, ლაურა, კითხვას აუგად

ნუ ჩამომართმევ, - რა ხნისა ხარ?

ლაურა

თვრამეტის გავხდი.

დონ კარლოსი

ახალგაზრდა ხარ. . . ახალგაზრდა იქნები კიდევ

ხუთ-ექვს წელიწადს. შენს ნადიმზე კიდევ ცოტა ხანს

ივლის ეს ხლხი, ხელის გულზე გატარებს გულით,

საჩუქრებს გიძღვნის, მუხლს მოგიყრის, მოგიფერება,

არ მოგასვენებს ღამღამობით სერენადებით

და ისევ შენთვის ერთმანეთთან წაკიდებულნი

გზაჯვარედინზე გაუყრიან ერთმანეთს მახვილს.

მაგრამ მოვა დრო, - შენი ჟამიც მიიწურება.

თვალეებში ცეცხლი ჩაგიქრება, ჩაგიღამდება

ღრმა ნაოჭებით უპეები და შენ, - ჭადარას

და წელსი მოხრილს, - უშნო ბებერს დაგიძახებენ.

რას იტყვი მაშინ, რაღასა იქმ?

ლაურა

განა ამაზე

ღირს თავისტეხა წინდაწინვე? საკითხავია

ასეთი რამე? მოიშორე პირქუში ფიქრი.

მოდი, გავიდეთ აივანზე. . . რა მყუდრო ცაა.

ვერხვის ფოთოლიც კი არ იძვრის და სუნი ასდის

ღამეს დაფნის და ლიმონისა, ცის კამარაზე
დინჯად მიცურავს ვეებერთელა სადაფის მთვარე
და გუშგების დამახილი ისმის: დარია. . .
ხოლო იქით, შორს, ჩრდილოეთით, მთების გადაღმა
ნისლია ალბათ, ღრუბლებითაა ცა მოგრაგნილი,
უქმურად წვიმს და უპირქუბო ქარი უბერავს.
თუმცაღა ჩვენ რა გვენაღვლება? მომხედე, კარლოს,
მე ღიმილსა და სულ სხვა სიტყვებს მოველი შენგან. . .

ჰო, - ეგრე.

დონკარლოსი

ჩემო სასურველო!

დონჟუანი

ჰაუ, ლაურა!

ლაურა

ვინ არის ნეტა, ვისი ხმაა?

კარი გამიღე!

ლაურა

ო, ღმერთო! ნუთუ. . .

(კარს აღებს. შემოდის დონ ჟუანი)

დონჟუანი

გამარჯობა! . . .

ლაურა

შენ ხარ, დონ ჟუანი!

(ლაურა მკლავებში უვარდება დონ ჟუანს)

დონკარლოსი

დონ ჟუანიო! . . .

დონჟუანი

საყვარელო ჩემო, ლაურა. . . (კოცნის)

ვინ არის შენთან, ჩემო კარგო?

დონკარლოსი

მე ვარ - დონ კარლოს,

შენი მტერი და სულთამხდელი!

დონჟუანი

აი, შეხვედრაც

ამასა ჰქვია! ხვალვე მზადა ვარ შენ სამსახურად.

დონკარლოსი

არა, ახლავე მოემზადე!

ლაურა

დონ კარლოს, გეყოთ,
რას, ქუჩაში ხომ არა ხრთ, ჩემთან ხართ, სახლში,
თუ ჩხუბი გინდათ, გთხოვთ მიბრძანდეთ!
დონ კარლოსი
(ყურადღებას არ აქცევს)
მე გელოდები!
დონ ჟუანი
ხმალი თანა გაქვს - იმედია. . .
ხმლის დარდი ნუ გაქვს,
არ დაგაყოვნებ, რაკი ჩქარობ. ჰა! . . . (იბრძვიან)
ლაურა
რასა შვრებით!
(საწოლზე პირქვე ემხოზა. დონ კარლოსი ეცემა)
დონ ჟუანი
ადე, ლაურა, მოვუთავე ხელი . . .
ლაურა
რას ამბობ?
მოჰკალი? ღმერთო! მერე სადა? ჩემთან, ოთახში!
რად ვქნა ახლა! უტირარო, სატანის წილო!
სად გადავმალო მე ეს გვამი?
დონ ჟუანი
იქნებ ჯერ კიდევ
სულს არ გაჰყრია.
ლაურა
არ გაჰყრია! შეხედე, ლეგო,
შიგ გულში მაინც არ დაგეცა მახვილი, თუმცა
რას ააცდენტი. დაიცალა სისხლისგან უკვე
და აღარ სუნთქავს, - როგორია?
დონ ჟუანი
აკი თვითონვე
ინდომე ეგრე. სხვა არც მქონდა გამოსავალი.
ლაურა
კარგი, იყუჩე თუ ღმერთი გწამს, რას არ ჩადიხარ
და ბრალი მაინც არ გედება . . . დიდი ხანია,
რაც ჩამოხვედი?
დონ ჟუანი
ეს-ეს არი, მაგრამ ფარულად.
ჯერ მეფისაგან ხომ შეწყალება არ მიმიღია.

ლ ა უ რ ა

ჩამოხვედი და იმ წუთასვე მე მომაშურე
სულმოუთქმელად , ხომ ასეა? ვერ დაგიჯერებ!
შენ მიდიოდი შენი გზით და ალბათ უეცრად
თვალი მოჰკარი ჩემს კარიბჭეს.

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

არა, ლაურა,
თუ გინდა, ჰკითხე ლეპორელოს! მე ქალაქგარეთ
დავიდე ბინა, იმ უბადრუკ ფუნდუკში და აქ,
მადრიდში შენთვის ჩამოვედი. (კოცნის)

ლ ა უ რ ა

ჭირიმე შენი! . . .
მაცალე, კარგი. . . მკვდარს რა ვუყოთ, რა მოვუხერხოთ?

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

მოეშივ მაგას! დილით ადრე, გამთენიისას,
თავის საკუთარ მოსასხამში გახვეულს გარეთ
გზაჯვარედინზე დავდებ სადმე.

ლ ა უ რ ა

მაგრამ იცოდე,
ფრთხილად იყავი, გზად არავის არ შეეჩეხო. . .
მაინც რა დროზე მომაკითხე! წუთით ადრე რომ
მოსულიყავი, - ჩემთნა ვახშმად შენი ნაცნობი
გრანდები ისხდნენ. ის-ის იყო დამემშვიდობენ. .

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

დიდი ხანია, რაც ეს კაცი გიყვარს, ლაურა?

ლ ა უ რ ა

ბოდავ თუ. . . ვისზე მეუბნები?

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

ერთსაც გკითხავ და
ნუ დამიმაღავ: მითხარი, ჩემს აქ არყოფნაში,
სხვებთან რამდენჯერ მიღალატე?

ლ ა უ რ ა

შენ, - უტიფარო?

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

გამოტყდი! . . . თუმცა, მერე, - სხვა დროს ვილაპარაკოთ.

(კონმანდორის ძეგლი)

დონჟუანი

საქმე ამეწყო: დონ კარლოსი მე უცხად
რომ შემომაკვდა, მონაზონად შემოპარულმა
აქ შევაფარე თავი, და აქ ყოველდღ ვუჭვრეტ
უმშვენიერეს ჩემს ქვირვს და მგონი მისგანაც
ვარ შენიშნული. დღემდე დიდად ვერიდებოდით
ეთმანეთს, უბრად გვერდს ვუვლიდით, ამ საღამოს კი
დროა ხმა გავცე, რამე ვუთხრა, გავესაუბრო.
რითი დავიწყო? "სინიორა" . . . ანდა: "უკეთუ
ნებას მიბოძებთ" . . . უჰ, რას ვამბობ! მოუმზადებლად,
ვით სამიჯნურო სიმღერის და ლექსის მომგონი,
უეცრად თავში რაც მომივა, იმ სიტყვას ვეტყვი. . .
დროც არი უკვე, რომ გამოჩნდეს. უიმისოდ, ვხედავ,
მოწყენილია კომანდორი. რა ბუმბერაზი
ძეგლი დაუდგამს, გეგონება ჰრკულესია, -
რა მხარბეჭი აქვს, რა სიმაღლე! . . . სინამდვილეში
განსვენებული დაბალი და ძაბუნი იყო
და აქვე, ფეხის წვერებზე რომ შემართულიყო,
მარჯვენას თავის საკუთარ ცხვირს ვერ მიუწვდენდა.
ესკურიალთან როცა შევხვდით ორთაბრძოლაში,
მკერდით ჩემს მახვილს წამოეგო და გაინაბა
ნემსზე აგებულ კალიასებრ, - ისე კი იყო
გამბედავი და ქედმაღალი, - და სულიც ჰქონდა
პირქუში, მკაცრი. . . ოჰო, მოდის.

დონანა

ისევ აქა ზის!

მე მგონი, ხელი შევუშალე თქვენს ფიქრს, მამაო,
გთხოვთ, მომიტევოთ.

დონჟუანი

მოტევებას მე უნდა გთხოვდეთ,
ეგების თვითონ მე ვაბრკოლებ მგოლვიარებით
ავსილი გულის მოხებას. . .

დონანა

არა, მამაო,

უკურნებელი ჩემი ჭირი ჩემსავ მწუხარე

გულში ღვივის და ცათა მიმართ ლოცვები ჩემი
სხვათა წინაშე აღიკმევა, მე გთხოვთ, მამაო,
ამ ჩემს ვედრებას შეუერთოთ თქვენი კურთხევა.

დონჟუანი

ჩემი კურთხევა შევეერთო ვედრებას თქვენსას?

ო, დონა ანა, მე ამ ხვედრის ღირსი არა ვარ.

ვით შეურაცხყო მე, ცოდვილმა, ბიწიერი ხმით
თქვენი ლოცვები, უწმინდესი გულით ნათქვამი?

მე მხოლოდ შორით, მოწიწებით და მოკრძალებით
გადევნებთ თვალყურს, როცა უხმოდ თავმოდრეკილი

ფერწასულ და ცივ მარმარილოს მოაბნევთ ხოლმე

მაგ შავ კულულებს, - და მგონია, აკლდამა ეგე

ცით მოვლენილმა ანგელოსმა მოინახულა.

და აღარ ძალუძს შეძრწუნებულ გულს მოიძიოს

კურთხევის სიტყვა. მდუმარე და განცვიფრებული

ვდგავარ და ვფიქრობ: ბედნიერი იგია, ვისაც

მისი ციური ამოსუნთქვა უთბობს აკლდამას

და ვისაც მისი სიყვარულის ცრემლი ეცემა. . .

დონანა

რა უცნაური სიტყვებია!

დონჟუანი

ო, სინიორა!

დონანა

თქვენ გავიწყდებათ. . .

დონჟუანი

მავიწყდება, რომ მე უღირსი

განდეგილი ვარ? რომ ჩემი ხმა ამ თაღების ქვეშ

მკრეხელობაა და უცნაურ რასმე ღალადებს?

დონანა

მე ვერ გავიგე, მე მეგონა. . . მე მომეჩვენა. . .

დონჟუანი

ო, ვხედავ, ვხედავ! თქვენ ყველაფერს მიმიხვდით, დონა.

დონანა

მაინც რას უნდა მივმხვდარიყავ?

დონჟუანი

იმას, რომ არ ვარ

მე განდეგილი. . . და თქვენს ფერხთით აწ სიკვდილს ველი.

დონანა

ღმერთო! . . ადექით, წამოდექით. . . ვინა ხართ, ბრძანეთ!

დონჟუანი

უნუგეშო და უიმედო გულისთქმის მსხვერპლი!

დონანა

ო, ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის ამ აკლდამასთანა.

წა, უკუდექით!

დონჟუანი

ერთი წუთი, ო, დონა ანა,

მადრევით მხოლოდ ერთი წუთი!

შემოვა ვინე . . .

დონანა

ჩაკეტილია ბალის კარი. სულ ერთი წუთი!

ჰო, კარგი, ბარემ თქვით, რაც გინდათ! რას ითხოვთ?

დონჟუანი

სიკვდილს!

ო, მოვკვდე ნეტავ, მე თქვენს ფერხთით ამ წუთას, ახლავე,

და ჩემი ნეშტი უბედური აქვე დამარხონ, -

თქვენთვის ძვირფასი საგოდებლის გვერდით კი არა,

ან აქვე სადმე, - ახლომახლო, - არამედ იქით,

ამ აკლდამისგან მოშორებით, შემოსასვლელთან,

რომ უბედურის საფლავის ქვას ხანდახან მაინც

მსუბუქი ფეხი დააკაროთ ან სამოსელით

მიესალბუნოთ, როცა აქეთ, თქვენი მეუღლის

სულის საოხად, თავდახრილი გამოსწევთ ხოლმე.

დონანა

შმაგის, უცნობოს ნაუბარს ჰგავს ეგ სიტყვა!

დონჟუანი

იქნებ

მართლა სიშმაგის ნიშანია სიკვდილის ნატვრა?

შმაგი რომ ვიყო და უცნობო, ცოცხლად დარჩენას

მოვინდომებდი. მექნებოდა კიდეც იმედი,

რომ უნაზესი სიყვრულით გულს შეგიძრავდით.

შმაგი რომ ვიყო, ღამეს თეთრად გავათენებდი

თქვენს აივანთან, აგიკლებდით სერენადებით,

ლექსით, სიმღერით, არ მოგცემდით გასაქანს, ყველგან

წამოგყვებოდით აჩრდილივით, შმაგი რომ ვიყო,

გადაგიშლიდით გულს მდუარეს. . .

დონანა

თქვენ აგრე დუმხართ?

დონა ანა

შემთხვევამ, მენდეთ, დონა ანა, მხოლოდ შემთხვევამ

ამიყოლია უნებურად, თორემ ნაღვლიან

ჩემს საიდუმლოს ვერასოდეს ვერ გაიგებდით.

დონა ანა

და უკვე დიდი ხანია, რაც გულს ჩაგივარდეთ?

დონა ანა

დიდი ხანია თუ მცირედ, არ ვიცი თვითონ.

ის ვიცი მხოლოდ, რომ იმ დღიდან გავიგე ფასი

წუთისოფელისა, რომ იმ დღიდან ვიგემე კრულმა

თუ რაა ქვეყნად ჭეშმარიტი ბედნიერება.

დონა ანა

გამშორდით, წადით! თქვენ საშიში კაცი ყოფილხართ!

დონა ანა

საშიში? რატომ?

დონა ანა

მე მაშინებს თქვენი სიტყვები.

დონა ანა

მე დავდუმდები, ოღონდ იმ კაცს ნუ განიშორებთ,

ვისაც ამ ქვეყნად მხოლოდ თქვენი ნახვა აცოცხლებს.

მე კადნიერი იმედები არა მაქვს გულში

და ღმერთმა იცის, არც არაფერს მოვითხოვ თქვენგან,

მაგრამ ნახვით კი უნდა გნახოთ, რაკი სიკვდილი

არ მომესაჯა.

დონა ანა

კარგი, წადით, მომეშვით-მეთქი!

ასეთი ქცევა არ შეშვენის ამ მწუხარ ადგილს.

ხვალ მოდით ჩემთან. . . თუკი მომცემთ რაინდულ სიტყვას,

რომ მომეპყრობით ასეთი პატივით, - მოდით. . .

მე თქვენ მიგიღებთ, ოღონდ გვიან, შეღამებულზე.

მას შემდეგ ქმარი რაც დავკარგე, არ გამიცია

ხმა კაცისათვის. . .

დონა ანა

დონა ანა, ანგელოზი ხართ!

და ისემც ღმერთი განუგეშებთ, როგორც ამ წუთას

თქვენ ანუგეშეთ უბედურის ტანჯული გული!

დონა ანა

ახლა კი წადით!

დონჟუანი

კიდევ ერთი, სულ ერთი წუთი!

დონანა

აჯობებს, თვითონ გაგეცალოთ. . . ვედრების სიტყვაც
არ მომდევს რაღაც, გამაბრუეთ თქვენ საამსოფლო
ენამჭევრობით; უკვე დიდი, დიდი ხანია,
გადაეჩვია ჩემი ყური ამგვარ საუბარს.

აბა, ხვალამდე.

დონჟუანი

დაჯერება მიმიძის ჯერ კიდევ!

ჯერ ნეტარების განცდა სრულად არ შემიზღია. . .

მაშ, ხვალ გიხილავთ! თქვენსავ სახლში, დაუფარავად!
ღმერთო ძლიერო! . . .

დონანა

ხვალ საღამოს დაგელოდებით

თქვენი სახელი

დონჟუანი

დონ . . . დიეგო, დიეგო, - დიახ.

აბა, ნახვამდის, დონ დიეგო. (მიდის)

დონანა

ჰე, ლეპორელო!

(შემოდის ლეპორელო)

ლ ე პ ო რ ე ლ ო

აქ ვარ, ბატონო, რს მიბრძანებთ?

დონჟუანი

ო, ლეპორელო,

ვერ წარმოიდგენ თუ რაოდენ ბედნიერი ვარ! . . .

ხვალო, შენ გესმის? საღამოს, მოგვიანებით. . .

გული ბალღივით მიფანცქალებს!

ლ ე პ ო რ ე ლ ო

კომანდორის ქვრივს

ემუსაიფეთ? ორიოდე გულის მოსაფხან

სიტყვას გეტყოდად, თავმოდრეკით გაგიღიმებდათ

თუ ის დალოცეთ და. . .

დონჟუანი

ოჰ, არა! მან პაემანი, -

გესმის, სულელო, - პაემანი დამინიშნა მე!

ლ ე პ ო რ ე ლ ო

ო, ქვირივო, ასე სულმოკლენი იქნებით მუდამ!

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

დიდად მიხარის და მზადა ვარ მთელი ქვეყანა

გულში ჩავიკრა მეტისმეტი სიხარულისგან.

ლ ე პ ო რ ე ლ ო

მაგრამ რას იტყვის კომანდორი?

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

რისი თქმა გინდა?

იეჰვიანებს, ვითომ?.. მუდამ ჭკვიანი იყო, -

სიკვდილის შემდეგ ყიფი უფრო დაუცხრებოდა.

ლ ე პ ო რ ე ლ ო

არა მგონია! ქანდაკებას შეხედეთ, აბა!

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

ჰო, რაა?

ლ ე პ ო რ ე ლ ო

კუშტად დაგცქერით და გიწყრებათ თითქოს. . .

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

მიდი ახლავე, ლეპორელო, და ქანდაკებას

სთოხვე მეწვიოს! . . . თუმცა არა. . . მოიპატიჟე

დონა ანასთან, მობრძანდით-თქო, ხვალ საღამოთი.

ლ ე პ ო რ ე ლ ო

ეგ რაა! სტუმრად ქანდაკება მოვიპატიჟო?

კი მაგრამ რისთვის?

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

რა თქმა უნდა, იმისთვის არა,

რომ მთელი ღამე ღვინო ვსვათ და ვიმასლაათოთ.

სთხოვე მოვიდეს ხვალ საღამოს, მოგვიანებით,

დონა ანასთან და კარებთან გვიყარაულოს.

ლ ე პ ო რ ე ლ ო

ეგ ვერაფერი ხუმრობაა. . .

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

გასწი, ახლავე!

ლ ე პ ო რ ე ლ ო

მაგრამ, ბატონო. . .

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი

გასწი-მეთქი, რომ გეუნები!

ლ ე პ ო რ ე ლ ო

დიდად განთქმულო, ღირსეულო. . . რა მემართბა! . . .
ჩემი ბატონი დონ ჟუანი უმორჩილესად
გთხოვთ, ხვალ საღამოს. . . თავსა ვფიცავ, არ შემძლია!
შიშისგან ლამის სული გამძვრეს!

დონ ჟუანი

მხდალო, ჯაბანო!

ლეპორელო

ჩემი ბატონი დონ ჟუანი გთხოვთ, ხვალ ეწვიოთ
მოგვიანებით დონა ანას, მეუღლეს თქვენსას
და კართად დადგეთ. . .

(ქანდაკება თანხმობის ნიშნად თავს უქნევს)

ო, მიშველეთ! . . .

დონ ჟუანი

რა ამბავია!

ლეპორელო

მიშველეთ, ვკვდები!

დონ ჟუანი

ხმა, - სულელო! რა მოგივიდა?

ლეპორელო

ოჰ, ქანდაკება. . . (თავს აქნევს)

დონ ჟუანი

რა თავს აქნევ?

ლეპორელო

თავს მიკატუნებს. . .

დონ ჟუანი

რას რომავ ნეტა, უკეთურო!

ლეპორელო

თვითონვე ნახეთ.

დონ ჟუანი

მიყურე კარგად! კომანდორო, მე გთხოვ შენს ქვრივთან

მიხვიდე, სადაც ხვალ საღამოს მეც დაგიხვდები, -

და კართან დადგე ყარაულად . მოხვალ თუ არა?

(ქანდაკებ თავს უქნევს)

ო, ღმერთო ჩემო!

ლეპორელო

რა მითხარი?

დონ ჟუანი

წავიდეთ ჩქარა.

ს ც ე ნ ა IV

(დონა ანას ოთახი)

დონ ჟუან ი და დონ ან ა !

დონ ანა

მე თქვენ მიგიღეთ, დონ დიეგო, ოღონდ მაშინებს ის, რომ ნაღვლიან მუსაიფით საბრალო ქვრივი დაგალონებდ და თავს შეგაწყენთ, მე ხომ ნიადაგ იმ ჩემს უბედურ დღეს მივსტირი და აპრილივით გაღიმებულსაც ცრემლითა მაქვს თვალები სავსე. რატომ არაფერს მეუბნებით?

დონ ჟუან ი

მდუმარედ ვტკბები

უმშვენნიერეს, ულამაზეს დონა ანასთან სასწაულებრივ მარტოყოფნით. აკი მე გხედავთ აქ და არა იქ, სვებედნიერ ქვის მეუღლესთან უხმოდ, უსასოდ მუხლმოდრეკილს.

დონ ან ა

ო, დონ დიეგო,

თქვენ ექვიანი კაცი ჩანხართ, ჩემი მეუღლე კუბოშიც რომ არ გასვენებთ.

დონ ჟუან ი

ექვიანობის

მე რა ნება მაქვს. ის ხომ თქვენი რჩეული იყო.

დონ ან ა

სცდებით! დონ ალვარს დედაჩემის ნებით გავყევი, რაკი სიმდიდრით მოქადული თავადი იყო.

დონ ჟუან ი

რა ბედს ეწია! მან ქალღმერთის ფერხთით უღირსი, ფუჭი საუნჯე მოიღო და სამაგიეროდ იგემა ცათა ნეტარება. მე უწინარეს რომ გამეცანით, ჩემს ღირსებას, მთელ ჩემს ქონებას, რაც მაბადია, ყოველივეს, რა სიხარულით ვანცვალეზდი ღმობით სავსე თქვენს გამოხედვას. მე ხელის გულზე გატარებდით, მე ვიქნებოდი

მარტოდენ მონა უწმინდესი თქვენი სურვილის.
წარბის ახრა და მე უმაღლვე გამოვიცნობდი
თქვენს სულ უბრალო ახირებას, რომ ყოფილიყო
ცხოვრება თქვენი სასწაული განუწყვეტელი.
მაგრამ ვაი, რომ ბედისწერა სხვას მიმზადებდა!

დონანა

გეყოთ, დიეგო: ყურს რომ გიგდებთ, ცოდვას ჩავდივარ,
მე ნება არ მაქვს შეგიყვაროთ, თავის მეუღლეს
კუბოშიც უნდა უერთგულოს საბრალო ქვრივმა.
ო, რომ იცოდეთ, რა უსაზღვრო გრძნობით ვუყვარდი
მეუღლეს ჩემსას. არასოდეს არ მიიწვევდა
შეყვარებულ ქალს დონ ალვარი, დაქვრივებულებიც
რომ ყოფილიყო. სამუდამოდ უერთგულებდა
ცოლქმრულ სარეცელს იგი. . .

დონჟუანი

მე გთხოვთ უმორჩილესად,
ო, დონა ანა, გულს ნუ მიკლავთ თქვენი მეუღლის
ესოდენ ხშირი გახსენებით, რაც დავისაჯე
მეკმაროს იგი, თუმცა სასჯელი დავიმსახურე.

დონანა

სასჯელი? რითი? უწმინდესი კავშირით აკი
შეუღლებელი არა ხართ და მაშასადამე,
ბრალებ არა გაქვთ არც ღვთისა და არც ჩემს წინაშე.

დონჟუანი

ღვთისა არა, მაგრამ. . . თქვენს წინაშე. . .

დონანა

ნუთუ რაიმე
ბრალი მიგიძღვით ჩემს წინაშე? მითხარით!

დონჟუანი

არა!

ვერ გეტყვით. . .

დონანა

მაგრამ, დონ დიეგო, როგორ გავიგო,
თქვენ ჩემს წინაშე ბრალი გაქვთ და არა გსურთ მითხრათ?

დონჟუანი

დიახ, ვერ გეტყვით მე. . . ვერაფერის დიდებით!

დიდად

დონანა

მაოცებს მე ეგ. . . დონ დიეგო, მე გთხოვთ, მოვითხოვ!

დონ ჟუანი

ოჰ, არა, არა.

დონანა

მაშ, ამგვარად მისრულებთ ნებას!

თუ აღარ გახსოვთ, რას ამბობდით აგერ ამ წუთას:

მარტოდენ მონა ვიქნებოთ თქვენი სურვიის.

მითხარით, თორემ მე გავწყრები, ნუ აგვიანებთ,

რა დააშავეთ ჩემს წინაშე?

დონ ჟუანი

ვერა, ვერ გეტყვით,

განმირისხდებით, შემძულვებით.

დონანა

არამც და არამც!

მე წინდაწინვე მიგიტყვევებ შეცოდებანი.

მითხარით-მეთქი, ოღონდ ჩქარა. . .

დონ ჟუანი

რად გსურთ, იცოდეთ

თავზარდამცემი საიდუმლო!

დონანა

თავზარდამცემი?

ნულარ მაწვალვით, დონ დიეგო, გემუდარებით,

ლამის შემშალოს უცნაურმა ცნობისწადილმა, -

რა მოხდა მაინც? შეურაცხი რა ჩაიდინეთ,

თქვით, ჩემდა მიმართ? საქმე თქვენთან მე არ მქონია,

მტრები კი არ მყავს, არც მყოლია, ერთიღა - ჩემი

მეუღლის მკვლელი თუ იქნება.

დონ ჟუანი

(თავისთვის) იხსნება საქმე!

იცნობდით ნეტა, იმ უბედურ დონ ჟუანს?

დონანა

არა!

თვალითაც კი არ დამინახავს!

დონ ჟუანი

მისდამი შავი

მტრობა გაქვთ გულში?

დონანა

წესისამებრ. . . მე ვალი მაწევს. . .

მაგრამ თქვენ სიტყვას ბანზე მიგდებთ. მითხარით ჩქარა.

დონჟუანი

რას იზამთ, უცებ დონჟუანს რომ გადაეყაროთ?

დონანა

გულში ჩავცემდი არამზადას მახვილს.

დონჟუანი

მახვილი! . . .

სად გაქვს მახვილი, დონანა? ჰა, ჩემი გული!

დონანა

დიეგო! . . .

დონჟუანი

არა! თქვენს წინაშე დონჟუანია.

დონანა

ო, ღმერთო ჩემო, გონზე მოდით, რას მეუბნებით!

დონჟუანი

დონჟუანი ვარ. . .

დონანა

ტყუილია!

დონჟუანი

დიახ, მე მოვკალ

შენი მეუღლე! მე მოვკალი და არცა ვნანობ

და გულშიც არ მაქვს სინანული. . .

დონანა

რა მესმი, ღმერთო!

დონჟუანი

დონჟუანი ვარ და მიყვარხართ თავდავიწყებით!

დონანა

სად ვარ. . . სადა ვარ? გული მიმდის. . . მიშველეთ. . .

დონჟუანი

ღმერთო!

რა გემართებათ, დონანა, გამოიფხიზლეთ,

ადექით, თვალი გაახილეთ, ცნობას მოეგეთ,

თქვენს ფერხთითაა მუხლმოყრილი თქვენი დიეგო.

დონანა

(მისუსტებული)

მომშორდი, წადი! ჩემი მტერი ყოფილხარ თურმე,

გაგიწირივარ სამუდამოდ. . .

დონჟუანი

ო, საყვარელო!

მზად ვარ ახლავე ყველაფერი გამოვისყიდო,
შენივე ფერხთით ველოდები მე განჩინებას,
მიბრძანე ოღონდ და მოგკვდები, არადა შენთვის
დავრჩები ქვეყნად. . .

დონ ანა

დონ ჟუანი ეს არი, აბა!

დონ ჟუანი

არაფერია საშინელი, ხომ მართალია!

ვინ იცის, ჩემზე რა არ გითხრეს. . . რას არ იტყოდნენ:

ბოროტიაო და უღმბეცი, ო, დონა ანა,

იქნებ მთლად ფუჭიც არ გამოდგეს ასეთი სიტყვა, -

სინდისს ნათრევს და უკვე დადლილს იქნებ სიავეც

ბევრი ამძიმებს, - მე სიმრუმეს, გულარძნილოაბს

დიდხანს ვუდექი უერთგულეს მსახურად, მაგრამ

მას შემდეგ, რაც თქვენ დაგინახეთ, ასე მგონია,

თითქოს მეორედ დავიბადე, მეორედ ვიშეე.

განა თქვენდამი სიყვარულმა არ შემაყვარა

მე სათნოება და პირველად ჩემს სიცოცხლეში

არ დამაჩოქა მის წინაშე მორჩილი გულით?

დონ ანა

ო, ვიცი, ვიცი, გამიგია, ენაწყლიანი

კაცი არისო დონ ჟუანი, დიდი მაცდურიც.

თქვენზე ამბობენ, რომ უღმერთო მექალთანე ხართ

და დიდად მრუში პიროვნება. რამდენი ქალი

გყავთ დალუპული, თქვით, გამოტყდით!

დონ ჟუანი

მაგრამ არც ერთი

არ მყვარებია არასოდეს!

დონ ანა

და სწორედ ახლა,

პირველად არის დონ ჟუანი შეყვარებული?

და ჩემში ახალ მსხვერპლს არ ეძებს? - ვერ დავიჯერებ!

დონ ჟუანი

მე თვალთმაქცობა რომ მდომებოდა, გეტყოდით განა

ჩემს სახელს, სახელს იმ კაცისას, ვისი მარტოდენ

გახსენებაც კი სულს გიშფოთებთ? ამას ეძახით

თქვენ მაცდურობას, ვერაგობას, ქვებუდანობას?

დონანა

მაგრამ ვინ იცის, გულში რა გაქვთ? . . მოვეშვით ამას, -
გამაგებინეთ, თუ ღმერთი გწამთ, აქ როგორ გაჩნდით?
არ აგცდებოთად ხო სიკვდილი, ვინმეს რომ ეცნეთ.

დონჟუანი

რაა სიკვდილი? პაემანზე თქვენთან შეხვედრის
ერთ ნეტარ წამში უდრტვინველად დავთმობ სიცოცხლეს.

დონანა

მაგრამ აქედან როგორ გახვალ, შეუპოვარო?

დონჟუანი

(ხელზე კოცნის)

და თქვენ ბღშავი დონ ჟუანის ბედი გაწუხებთ?
მაშ, ჩემდა მიმართ, დონა ანა, თქვენს ციურ სულში
აღარ ბოგინებს სიძულვილი?

დონანა

ოჰ, რომ შემეძლოს

მე გულით თქვენი შეძულება. . . ახლა კი დროა
დაგემშვიდობოთ.

დონჟუანი

როდის შევხვდეთ?

დონანა

არ ვიცი. ვნახოთ.

დონჟუანი

ხვალვე რომ გნახოთ, რა იქნება?

დონანა

მაგრამ სად?

დონჟუანი

აქვე.

დონანა

ხედავთ, როგორი დამყოლი ვარ!

დონჟუანი

საწინდრად ერთი

მშვიდობიანი კოცნა. . . ნიშნად პატიებისა.

დონანა

ნახვამდის, კარგი!

დონჟუანი

საწინდარი? - ცივი, უბრალო. . .

დონანა

ო, რა კაცი ხარ, - აბეზარი. აჰა! . . . ნახვამდის.

რა ხმაა? ჩქარა, დაიმალე სადმე, დონ ჟუან!

დონ ჟუანი

ჩემო ძვირფასო მეგობარო, მშვიდობით იყავ.

(გადის და უკან შემორბის)

ოჰ, ოჰ! . . .

დონანა

რა იყო? . . .

(შემოდის კომანდორის ძეგლი. დონა ანა ძირს ეცემა)

ძეგლი

მომიწვიე და მეც მოვედი.

დონ ჟუანი

ღმერთო, ეს რაა? . . . დონა ანა!

ძეგლი

თავი ანებე! . . .

აწ ვერ გიშველის ვერაფერი. შენ თრთი, დონ ჟუან!

დონ ჟუანი

მე? სულაც არა. მე გემახდი და მიხარია

რომ შემისრულე სათხოვარი. . .

ძეგლი

მაშ, მომე ხელი!

დონ ჟუანი

აჰა. . . რა მძიმე მარჯვენა აქვს! ლოდევით ცივი

თითებით მიჭერს. . . ლამის მაჯა გადამიმტვრიოს.

გამშორდი! თავი დამანებე! გამიშვი ხელი! . . .

გამიშვილი-მეთქი! ვილუპები! ო, დონა ანა!